EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N 652/10
ბესარიონ ბოჭორიშვილი
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 30 ივნისის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პოლ მაჰონი, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
ფარის ვეჰაბოვიჩი, *მოსამართლეები,*
და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო 2009 წლის 7 დეკემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო რა მოპასუხე – მთავრობის მიერ 2015 წლის 27 თებერვალს წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელშიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას, ასევე მომჩივნის პასუხი დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი ბ–ნი ბესარიონ ბოჭორიშვილი არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მთავრობის წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. პოლიციის მიერ 2009 წლის 9 მაისს მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის დროს მომჩივანმა მსუბუქი ფიზიკური

დაზიანებები მიიღო თავისა და ცხვირის არეში, რის შედეგადაც ცხვირიდან სისხლდენა და სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა.

4. მომჩივნის განცხადებით მას დაზიანებები მიაყენეს პოლიციის დაუდგენელმა ოფიცრებმა. 2009 წლის 9 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო აქციის დარბევის დროს მომჩივნის მიმართ პოლიციის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, მაგრამ გამოძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

სამართალი

5. 2014 წლის 15 სექტემბერს სასამართლომ საჩივრის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნა მთავრობას კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

6. 2015 წლის 27 თებერვლით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდა ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება იმ საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც საჩივარში იყო დასმული. მთავრობა აგრეთვე მოითხოვდა საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

7. დეკლარაცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

"საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა დანანებით აღიარებს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, 2009 წლის 6 მაისს მომჩივნისთვის მიყენებული დაზიანებებთან დაკავშირებით საქმის გამოძიების მსვლელობისას აღმოჩენილი ხარვეზების გამო.

მთავრობა მზად არის ამ დეკლარაციის ფარგლებში ჩაატაროს დროული და ეფექტური გამოძიება რომელიც 2009 წლის 9 ივნისს დაიწყო მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

ასევე, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა მზად არის ბ–ნ ბესარიონ ბოჭორიშვილს გადაუხადოს 3,500 (სამი ათას ხუთასი) ევრო ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის, აგრეთვე გადასახადების ანაზღაურების სახით, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს.

აღნიშნული თანხა კონვერტირებული უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ

> გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი. „

8. 2015 წლის 30 აპრილით და 20 მაისით დათარიღებული წერილებში მომჩივანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი მიესალმება მთავრობის აღიარებას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, მას კვლავ არ აკმაყოფილებდა კომპენსაციის შემოთავაზებული თანხა.

9. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 37–ე მუხლის თანახმად, მას სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია გადაწყვიტოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვა, თუ კი გარემოებას მივყავართ აღნიშნული მუხლის 1–ელი პარაგრაფის (a), (b) ან (c) პუნქტებში განსაზღვრული დასკვნებიდან ერთ–ერთ დასკვნამდე. მუხლი 37 § 1 (c) უფლებას აძლევს სასამართლოს სიიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ კი:

> "სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზის გამო გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება".

10. იგი ასევე იმეორებს, რომ 37-ე მუხლის § 1 (c) შესაბამისად გარკვეულ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამორიცხვა მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, მაშინაც კი თუ მომჩივანს საქმის განხილვის გაგრძელება სურს. ამ მხრივ, მომჩივნის პასუხი მთავრობის დეკლარაციაზე უნდა იქნას გაგებული, როგორც უარი ამ წინადადებაზე თანხმობასთან დაკავშირებით.

11. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მას შეუძლება ცალმხრივი დეკლარაციის მიღება წინასწარ მორიგების შესახებ მოლაპარაკებების გარეშეც კი (*ob.Union of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia (dec.), no. 72874/01, §§ 23-30* 21 April 2015).

12. ამ მიზნით სასამართლო ყურადღებით განიხილავს დეკლარაციას პრეცედენტული სამართლის პრინციპების კუთხით, კერძოდ *ტაჰსინ აკარის* გადაწყვეტილება *(ob. Tahsin Acar v. Turkey (preliminary issues) [GC], no. 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI; WAZA Spółka z o.o. v. Poland (dec.), no. 11602/02, 26 June 2007; and Sulwińska v. Poland (dec.), no. 28953/03, 18 September 2007*).

13. ის შეახსენებს, რომ მან უკვე დაადგინა – მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში – კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი პოლიციის

მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან და ამ კუთხით გამოძიების ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოშობილ საჩივრებზე (იხ. *ბელელური საქართველოს წინააღმდეგ* # 28490/02, §§ 105-112, 7 ოქტომბერი 2014; *დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ,* # 73241/01, §§ 35-47, 27 ივლისი 2006).

14. ითვალისწინებს მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში არსებული აღიარებების ხასიათს, ასევე შეთავაზებული კომპენსაციის თანხას, რომელიც აბსოლუტურად ადეკვატურია არსებული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება (მუხლი 37 § 1 (c)).

15. უფრო მეტიც, ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი ამ საქმის საგანთან დაკავშირებით არსებული ფართო სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციაში და მის დამატებით ოქმებში განსაზღვრული ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა არ მოითხოვს მისგან საჩივრის განხილვის გაგრძელებას (მუხლი 37 § 1).

16. საბოლოოდ, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, საჩივარი აღდგება განსახილველ საქმეთა ნუსხაში კონვენციის 37–ე მუხლის § 2 შესაბამისად (იხ.*Josipović v. Serbia (dec.), no. 18369/07, 4 March 2008*).

ამ მიზნით, სასამართლომ ერთხმად

გაითვალისწინა მოპასუხე მთავრობის დეკლარაციის პირობები კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით და მათში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მეთოდები, და

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 37-ე მუხლის § 1 (c) შესაბამისად საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს;

შედგენილია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობათ 2015 წლის 23 ივლისს.

ფატოშ არაჩი
სექციის განმწესრიგებელი
მოადგილე

პოლ მაჰონი,
თავმჯდომარე